საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

2078-01-2-202206271103

N 01/2078
27/06/2022

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დირექტორს
ბატონ გიორგი დუგლაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2015 წელს 12 მაისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და საქართველოს (წარმომადგენელი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) შორის ხელი მოეწერა საგრანტო და სასესხო ხელშეკრულებას ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განხორციელების თაობაზე. პროექტი მოიცავს ქვემო ქართლის რეგიონში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობას. არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოსაწყობად შეირჩა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფელ წინწყაროს მიმდებარედ ტერიტორია, რომლის ნაწილიც, კერძოდ, 158000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 84.10.38.046) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული სუბიექტის, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" (შემდგომში - კომპანია) საკუთრებაშია, ხოლო დანარჩენი ტერიტორია - 50 000.00 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 84.10.38.017) - წარმოადგენს ფიზიკური პირის, ლევან პაპაშვილის (პ/ნ 22001002393) საკუთრებას.

პროექტის განხორციელების მიზნებისათვის, ზემოაღნიშნული 50 000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, კომპანიამ დაიწყო მოლაპარაკებები მიწის ნაკვეთის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. შედეგად, ლევან პაპაშვილმა წარმოადგინა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ხოპისის მიმდებარედ სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: 84.02.33.165; 84.02.33.164; 84.02.33.146; 84.02.33.162; 84.02.33.163), რომლითაც იგი იყო დაინტერესებული, თუმცა, როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ეცნობა კომპანიას, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გასხვისება/ჩანაცვლება.

ამის შემდეგ, კომპანიამ კიდევ ერთხელ მიმართა ლევან პაპაშვილს და სთხოვა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა მიწის ნაკვეთის წარმოდგენა, რის საპასუხოდაც მან, 2022 წლის 10 იანვრის წერილით წარადგინა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ მუხათში მდებარე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 84.06.34.283) და განაცხადა, რომ თანახმაა კანონმდებლობით დადგენილი წესით, ღირებულების შესაბამისად, განხორციელდეს ჩანაცვლება მის საკუთრებაში არსებულ ტოლფას მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი: 84.10.38.017). ამის შემდეგ, კომპანიამ წერილობით მიმართა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას და მერიის 2022 წლის 17 მარტის N124-1242207651 წერილით მიიღო

პასუხი, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის ჩანაცვლება.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის შემდეგ, კომპანიის დაკვეთით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ შეაფასა ლევან პაპაშვილის საკუთრებაში არსებული 50 000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საიდენტიფიკაციო კოდი: 84.10.38.017), თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საიდენტიფიკაციო კოდი: 84.06.34.283) და ამავე ნაკვეთის ის კონკრეტული ტერიტორია, რომელიც შესაძლებელია ჩანაცვლებულ იქნეს კერძო მესაკუთრესთან და მომზადდა შესაბამისი დასკვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ 2022 წლის 22 ივნისის N1159-04 წერილის საფუძველზე, გთხოვთ, დაიწყოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების ჩანაცვლებისა და შემდეგ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სტატუსით, მისი კომპანიის კაპიტალში შეტანის მიზნით.

დანართი: 31 (ოცდათერთმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე